

ქალაქ ქუთაისში, ჩეხოვის ქუჩა N1 საცხოვრებელ სახლში განთავსებულ ერთ
საცხოვრებელ ოთახზე მოქალაქე მარიამი ჯანელიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა რუსთაველის N4 საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მოქალაქე მარიამი ჯანელიძის წარმომადგენლის გელა მეგრეველის განცხადება /2012 წლის 13.12 Nჯ-10381/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ სახლში განთავსებულ ერთ საცხოვრებელ ოთახზე მდებარე ქ.ქუთაისი, ჩეხოვის ქუჩა N1-ში საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე მარიამი ჯანელიძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ჩეხოვის ქუჩა N1 საცხოვრებელ სახლში განთავსებულ ერთ საცხოვრებელ ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე მარიამი ჯანელიძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ჩეხოვის ქუჩა N1 საცხოვრებელ სახლში განთავსებულ ერთ საცხოვრებელ ოთახზე /საერთო ფართობი 10,07 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 10,07 კვ.მ, რომელიც განთავსებულია თანასაკუთრების 246,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე/ მოქალაქე მარიამი ჯანელიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოვალეობის
შემსრულებელი

ა.ძოწენიძე